

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
სხდომაზე, დადგენილება № _____
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი (ა. ბაკურიძე)

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე ოქმი № _____
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
დეკანის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.ზოსიძე

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი**

აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის/სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა
საზოგადოებრივი ჯანდაცვა

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი

QUALIFICATION/ACADEMIC DEGREE – *Master of Public Health*

პროგრამის მოცულობა: **120 ECTS**

პროგრამის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი სალომე ღლონტი

ბათუმი 2013

ფაკულტეტის დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	
პროგრამის დასახელება	აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა	
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სპეციალობა	მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი
	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი / Master of Public Health
პროგრამის ხელმძღვანელი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი სალომე ლლონტი	
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს(4 სემესტრი). მათ შორის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – 90 კრედიტი (მათ შორის არჩევითი კურსები 10კრედიტი), სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი).	
სწავლების ენა	ქართული	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)		
<p>პროგრამაზე დაშვების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე (სპეციალობა, უცხო ენა). ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ ქვეყნდება ბსუ-ს ვებ-გვერდზე.</p>		
პროგრამის მიზნები		
<p>სამაგისტრო პროგრამის ”საზოგადოებრივი ჯანდაცვა ” მიზანია– სტუდენტს მისცეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღრმა და სისტემური ცოდნა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრობლემების შესახებ; • საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, გარემოს (ეკოლოგიურის და სოციალურის) გავლენის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ; • საქართველოში ჯანდაცვის სამსახურების ორგანიზაციისა და დაფინანსების შესახებ ; • საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის შესახებ ; • ეპიდემიოლოგიის, სამედიცინო სტატისტიკის, მტკიცებითი მედიცინის შესახებ; • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ; • ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობის, ბიოეთიკის შესახებ; • ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში პოლიტიკური სუბიექტების როლის, ასევე საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე კანონების და მარეგულირებელი წესების გავლენის შესახებ; • პოლიტიკის შემუშავების პროცესის ანალიზისა და შეფასების და ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მისი გავლენის შესახებ; • ჯანდაცვის პოლიტიკის პრობლემებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზისა და სინთეზის უნარი; • ჯანდაცვის პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების და მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სოციალური შედეგების შესახებ; • კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონების და რეგულირების იდენტიფიცირებისა და მათი გავლენის შესახებ; 		

- ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- სადაზღვევო საქმის შესახებ;
- კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს მისცემს შრომის ბაზარზე კვალიფიციური სამუშაო ადგილების მიღების და შემდგომი კარიერული ზრდის საშუალებას.

ასევე კურსდამთავრებული მიღებული კვალიფიკაციით შეძლებს დასაქმებას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა სტრუქტურებში—შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სამედიცინო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, სამედიცინო პროფილის ორგანიზაციებში, კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

- სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

დასკვნის უნარი:

- ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

ზეპირი და წერილობითი ფორმით ეფექტური კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაციის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- დემოგრაფიული, სტატისტიკური, პროგრამული და სამეცნიერო ინფორმაციის ზუსტად და ეფექტურად წარდგენის უნარი ფართო აუდიტორიისათვის;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე პროფესიონალურად ხარისხიანი ანალიზის წერა მტკიცებულებებისა და ციტირებათა სათანადო გამოყენების მეშვეობით.

სწავლის უნარი:

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;

ღირებულებები:

- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ჯანდაცვის პოლიტიკისა და ჯანდაცვის სფეროს ღირებულებების კეთილსინდისიერად განახორციელება;
- ჯანდაცვის მომსახურების ფაქტორების გათვითცნობიერება და კონკურენტულ გარემოში ჯანდაცვის მომსახურების სამართლიანი ხერხებით მოქმედება;
- მუდმივად მომხმარებელზე ორიენტირებულობა, მომხმარებელისათვის ჯანდაცვის სრულყოფილი მომსახურების გაწევა.
- გადასახადის კარგი გადამხდელობა და ქველმოქმედება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ქცევის ეთიკური ნორმებისა და მორალური პრინციპების დაცვა.

დარგობრივი კომპეტენციები:

კურსდამთავრებულს ექნება:

ცოდნა ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი გამოწვევების და იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც მიმართულია შემდეგი პრობლემების მოსაგვარებლად:

- საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი პრობლემების ცოდნა;
- საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, გარემოს (ეკოლოგიურის და სოციალურის) გავლენის ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ცოდნა ;
- საქართველოში ჯანდაცვის სამსახურების ორგანიზაციისა და დაფინანსების ცოდნა ;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის ცოდნა ;
- ეპიდემიოლოგიის, სამედიცინო სტატისტიკის, მტკიცებითი მედიცინის ცოდნა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცოდნა;
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობის, ბიოეთიკის ცოდნა;
- ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში პოლიტიკური სუბიექტების როლის, ასევე საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე კანონების და მარეგულირებელი წესების ცოდნა;
- სადაზღვევო საქმის ცოდნა;

ეფექტური საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების, ანალიზის და შეფასების უნარი:

- საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დემოგრაფიული თავისებურებების, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, ავადობის, დაავადებათა გავრცელების, სიკვდილიანობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის ანალიზის უნარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო სამსახურების სტრუქტურისა და როლის გაგების უნარი ;
- პოლიტიკის შემუშავების პროცესის ანალიზისა და შეფასების და ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მისი გავლენის გაგების უნარი;
- ჯანდაცვის პოლიტიკის პრობლემებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ჯანდაცვის პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავების და მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სოციალური შედეგების შეფასების უნარი;
- კონკრეტულ პროგრამებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონების და რეგულირების იდენტიფიცირებისა და მათი გავლენის შეფასების უნარი;
- ჯანდაცვის პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების უნარი;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი .

მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანალიზისა და პროგრამის შეფასების შესაბამისი რაოდენობრივი ინსტრუმენტების გამოყენების უნარების განვითარება:

- პრობლემების იდენტიფიცირების და გადაწყვეტის მიზნით მონაცემებისა და რაოდენობრივი მეთოდების სათანადო გამოყენება;
- მონაცემთა მთლიანობის და შედარებითობის შეფასების და მონაცემთა წყაროების ნაკლოვანებების იდენტიფიცირება;
- საზოგადოებრივ ჯანდაცვაში გამოყენებული ძირითადი კვლევითი ინსტრუმენტების აღიარების, გამოქვეყნებული კვლევის შედეგების ხარისხის ანალიზის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონკრეტულ საკითხებთან მისი გამოყენებადობის განსაზღვრა.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულს შეუძლია საქმიანობის განხორციელება ჯანდაცვის დარგის აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, აგრეთვე კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამის დამთავრება საშუალებას აძლევს სტუდენტს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლების მეთოდები

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები რეალიზდება სასწავლო კურსებში ლექციების, და პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით. კურსების შესწავლა ასევე ხორციელდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე.

პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები:

ლექცია – ლექციის დანიშნულებაა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა თეორიულ-გამოყენებით ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით.

ლექციები ორიენტირებულია:

- თემის გარშემო თეორიული კვლევის სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე;
- სხვადასხვა კონცეფციებისა და მიდგომების, მნიშვნელოვანი მოდელების განხილვასა და ანალიტიკურ შეფასებაზე;
- საბაზისო ცნებების, მეთოდებისა და ფუნქციების მნიშვნელობის გააზრებაზე.
- ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. ლექციის შინაარსის სრულფასოვნად გაგებისა და შემდგომ დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით სტუდენტი სასურველია წინასწარ გაეცნოს განსახილველი საკითხის გარშემო მითითებულ მასალას და მეცადინეობამდე დამოუკიდებლად მოხაზოს საკვანძო დებულებები და სამსჯელო პრობლემები.

ლექციის ფორმატი:

- ინტერაქტიული ლექცია – გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართვას ლექციის მსვლელობის პროცესში.
- ლექცია პრეზენტაცია – გულისხმობს ლექტორის მიერ გამოყენებულ ვიზუალიზაციის ხერხებს ლექციის შინაარსის უკეთესად აღქმის მიზნით (Power Point-ის პრეზენტაცია, პლაკატი, გაფართოებული გეგმა (Handout) და სხვ.)

პრაქტიკული მეცადინეობები – პრაქტიკული მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანი თამაში (პრობლემური სიტუაციების ანალიზი (ქეისი), რომლის მიზანია სტუდენტს გააცნოს კონკრეტულ თემასთან (თემებთან) მიმართებაში პრაქტიკული პრობლემები, რომელიც რეალურად შესაძლებელია წარმოიქმნას (ან წარმოიქმნა) შესაბამის ორგანიზაციაში. მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრის მექანიზმების შემუშავება. სწავლების აქტიური და თამაშის მეთოდები შესაძლებლობას იძლევა მთლიანად იქნას რეალიზებული სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალი. სტუდენტს თითოეული ქეისი მიეცემა სტრუქტურირებული ფორმით: მიზანი, დავალება, ამოსავალი მონაცემები, რეკომენდაციები ამოხსნისთვის, ქეისის ამოხსნის სცენარის ვარიანტები. ქეისების ამოსახსნელად სტუდენტისთვის მიცემული რეკომენდაციები წარმოადგენს პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მეთოდურ საფუძველს.

პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვის ფორმატი:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- წერითი მუშაობის მეთოდი – კურსის სწავლების პროცესში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ ჩანაწერები და კონსპექტები, მაგალითად პრაქტიკის(საავადმყოფო/სადაზღვევო)წერითი ანგარიში.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. მაგისტრანტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან პოპულარულ სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.
- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას.

- ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სასწავლო კურსების საკითხებს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- დემონსტრირების მეთოდი – მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, შესასწავლი მასალის დემონსტრირება განხორციელდეს, როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ როგორც აუდიო, ასევე ვიზუალური გზით.
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – ამ მეთოდის გამოყენებით ხდება პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობა სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა საქმიანი თამაში (პრობლემური საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, და ა.შ. სიტუაციების ანალიზი (ქეისი), რომლის მიზანია სტუდენტს გააცნოს კონკრეტულ თემასთან (თემებთან) მიმართებაში პრაქტიკული პრობლემები, რომელიც რეალურად შესაძლებელია წარმოიქმნას (ან წარმოიქმნა) შესაბამის ორგანიზაციაში.
- როლური თამაშები–როლების განაწილება და როლურ თამაშებში სტუდენტების მონაწილეობა– დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას.
- კვლევითი მეთოდი– დამოუკიდებელ კვლევითი პროექტების საშუალებით სტუდენტები იკვლევენ მაგალითად: ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებს და ფუნქციებს ,ჯანდაცვის დაფინანსებას, ჯანდაცვის სისტემის შეფასებას, ჯანდაცვის სისტემის მართვას, და ა.შ.

შეფასების წესი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ, მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედური შეფასება მრავალკომპონენტია და განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებით.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედური შეფასების მაქსიმალური წილი შეადგენს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური წილი 40 ქულას. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური ტესტები (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, აქტივობა პრაქტიკულ მეცადინეობებზე და ჯგუფში მუშაობისას.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება:

დადებითი შეფასებებია:ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;

- გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებებია:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
 - ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
- სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ:
- ა) ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;
 - ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სამეცნიერო კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება, დაცვა და შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ს შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვაზე, კომისიის წინაშე, მაგისტრანტი თემას წარადგენს ელექტრონული ფორმით (Power Point). შეფასებისას ხდება თემის აქტუალობის, სამეცნიერო სიახლის, აკადემიური დონის, ნაშრომის გაფორმებისა და პრეზენტაციის უნარის გათვალისწინება.

ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბაზაზე. სპეციალობას ემსახურება თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო-კვლევითი ბაზები: “უნიმედ აჭარა“ ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ვენის სადაზღვევო ჯგუფი-ჯი პი აი ჰოლდინგი (აჭარა). სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მდიდარი წიგნადი ფონდით, უახლესი სპეციალური ლიტერატურით. აგრეთვე სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ფართო შესაძლებლობები ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასების საშუალებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით – ელექტრონული ინფორმაციით EBSCOHost (<http://search.epnet.com>); Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>); Oxford University Journals (<http://www.oxford-journals.org>) ბიბლიოთეკებისათვის, საფაკულტეტო ბიბლიოთეკით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, საკონფერენციო დარბაზით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი:

1. სალომე ღლონტი– საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
2. კახაბერ ქაშიბაძე– საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი
3. სოფიო ბერიძე–საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.
4. ნათელა წიკლაშვილი–სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი.
5. ასიე ცინცაძე–სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი.

6. მურმან გორგოშაძე—ურიდიული მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი.
7. ცირა ჭყონია—ეროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.

აგრეთვე მოწვეული სპეციალისტები:

1. მერაბ ფუტკარაძე –საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, მედიცინის დოქტორი.
2. ვლადიმერ მახარაძე—ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი, მედიცინის დოქტორი.
3. თამარ მხატვარი—„უნიმედ აჭარა“ ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ხარისხის მენეჯერი, მასწავლებელი.
4. მედეა ქაჯაია— ვენის სადაზღვევო ჯგუფი-ჯი პი აი ჰოლდინგი სამედიცინო დაზღვევის წარმომადგენელი, აჭარა, მასწავლებელი.
5. გიორგი გიორგაძე—“უნიმედ აჭარა“ ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს დირექტორი, მასწავლებელი.
6. თემურ ქარცივაძე—სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის არ ფილიალის უფროსი, მასწავლებელი.
7. დალილა ცივაძე— საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ა.რ. ფილიალი,საყოველთაო ჯანდაცვის დეპარტამენტის სპეციალისტი, მასწავლებელი.
8. ნინო გუგუშვილი – სსიპ ლ. საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მასწავლებელი.
9. კონსტანტინე მეგრელიშვილი—ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მასწავლებელი.
10. სულხან ინაიშვილი— პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი, ჯანდაცვის ადმინისტრირების მაგისტრი, მასწავლებელი.
11. თეა ლალიაშვილი – „ჩემი ოჯახის კლინიკა“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მასწავლებელი.
12. ლელა შენგელია – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, დედათა და ბავშვის ჯანმრთელობისა სამმართველოს უფროსი, მასწავლებელი.
13. ნინო ნიჟარაძე – სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი.
14. ირმა რუსეიშვილი— პერსონალური ექიმი ALDAGI BCI, მასწავლებელი.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. სტუდენტი სწავლების პირველი, მეორე და მესამე სემესტრში შეისწავლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალობის კურსებს, რომლებიც განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამის კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. პროგრამა შედგება 15 სავალდებულო კურსებისაგან (80 კრედიტი) და 5 არჩევითი კურსებისაგან (სტუდენტი ირჩევს 10 კრედიტს პირველ და მეორე სემესტრში)

სამაგისტრო საგამანათლებლო პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით (30 კრედიტი)

დისციპლინის და სხვა სახის სამუშაოს დასახელება (პრაქტიკა,სამაგისტრორო ნაშრომი ან სხვა)	კოდები	120 კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით												
			ლექცია	პრაქტიკული	ჯგუფში მუშაობა		სულ	სემინარი	I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.			
სავალდებულო კურსები		80													
1 ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა	11406M0401	5	10		25	90	120			5					
2 საზოგადოებრივი ჯანდაცვა	11406M0402	6	10		35	105	150			6					
3 ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია	11406M0403	6	10		30	110	150			6					
4 საზოგადოებრივი ჯანმრთელობა	11406M0404	5	15		20	90	125				5				
5 სადაზღვევო საქმე	11406M0405	5	10		25	90	125				5				
6 სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასება და მართვა	11406M0406	5	10		25	90	125					5			
7 ჯანდაცვის პროგრამების მართვა	11406M0407	5	15		20	90	125						5		
8 ჯანდაცვის პოლიტიკა	11406M0408	5	10		25	90	125				5				
9 ჯანდაცვის ფინანსური მენეჯმენტი საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის	11406M0409	6	15		15	120	150						6		
10 ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობა, ბიოეთიკა.	11406M0410	6	15		15	120	150			6					
11 სამეცნიერო კვლევების მეთოდები მედიცინაში	11406M0411	5	10		20	95	125				5				
12 ჯანდაცვის ეკონომიკა	11406M0412	6	14		16	120	150							6	
13 სასწავლო პრაქტიკა (საავადმყოფო/სადაზღვევო)	11406M0413	5		35		90	125							5	
14 ინგლისური ენა B 1.2.1	11406M0419	5			30	95	125			5					
15 ინგლისური ენა B 1.2.2	11406M0420	5			30	95	125				5				
არჩევითი კურსები		10								5	5				
1.1 მოლაპარაკების მეთოდები	11406M0414	5	10		20	95	125				5				
1.2 მედიცინის ზოგადი საფუძვლები	11406M0415	5	15		25	85	125			5					

1.3	მტკიცებითი მედიცინის და სამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები	11406M0416	5	10		20	95	125			5		
1.4	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა ჯანდაცვისა და დაზღვევის სფეროს პროფესიებისათვის	11406M0417	5	10		25	90	125		5			
1.5	ფარმაციის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფარმაციაში	11406M0418	5	10		20	95	125		5			
1.8	სამაგისტრო ნაშრომი		30					750					30
	სულ		120							33	30	27	30

სწავლის შედეგების რუკა
საზოგადოებრივი ჯანდაცვა

N	კომპონენტები	პრედიტების რაოდენობა	კომპეტენციები													
			ზოგადი კომპეტენციები						დარგობრივი კომპეტენციები							
			ცოდნა და განობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი		დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები	ცოდნა და განობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი		დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
				ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი						ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი				
1	ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა	5	+	+	+	+			+	+	+	+				
2	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	6	+	+	+	+			+	+	+	+				
3	ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია	6	+	+	+	+			+	+	+	+				
4	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა	5	+	+	+	+			+	+	+	+				
5	სადაზღვევო საქმე	5	+	+	+		+		+	+	+		+			
6	სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასება და მართვა	5	+	+	+	+		+	+	+	+	+		+		
7	ჯანდაცვის პროგრამების მართვა	5	+	+	+				+	+	+					
8	ჯანდაცვის პოლიტიკა	5	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+		
9	ჯანდაცვის ფინანსური მენეჯმენტი საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის	6	+	+	+			+	+	+	+			+		
10	ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობა, ბიოეთიკა.	6	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+		
11	სამეცნიერო კვლევების მეთოდები მედიცინაში	5	+	+	+				+	+	+					
12	ჯანდაცვის ეკონომიკა	6	+	+	+	+			+	+	+	+				
13	სასწავლო პრაქტიკა (საავადმყოფო/სადაზღვევო)	5	+	+		+			+	+		+				
14	ინგლისური ენა B1.2.1	5	+	+		+			+	+		+				
15	ინგლისური ენა B1.2.2	5	+	+		+			+	+		+				

1.1	მოლაპარაკების მეთოდები	5	+	+		+		+	+	+		+		+
1.2	მედიცინის ზოგადი საფუძვლები	5	+	+	+		+		+	+	+		+	
1.3	მტკიცებითი მედიცინის და სამედიცინო სტატისტიკის საფუძვლები	5	+	+	+	+			+	+	+	+		
1.4	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა ჯანდაცვისა და დაზღვევის სფეროს პროფესიებისათვის	5	+	+	+	+			+	+	+	+		
1.5	ფარმაციის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფარმაციაში	5	+	+	+		+		+	+	+		+	

Curriculum Vitae



სახელი: სალომე

გვარი: ლლონტი

პირადი ნომერი: 61001014007

მისამართი: ბათუმი 6010, ზ.გორგილაძის ქ.2 ბ. 27.

მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე

დაბადების თარიღი: 19/12/1967

ტელ: (+995 99)510005

E-mail: salomea2007@list.ru

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ენდოკრინოლოგია, დიაბეტოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ადმინისტრირება.

უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობა: კლინიკური თერაპიის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი 2009–დან. კლინიკური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი 2010 წ–ს სექტემბრიდან. განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის წევრი 2010 წ. დეკემბრიდან.

განათლება

2005წ.– საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია სასწავლო ციკლი პროგრამით "მუცლის ღრუს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა"

1996წ.– მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

1995წ.– რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური ფიზიოლოგიისა და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ბაზაზე სპეციალიზაციის ციკლი "ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა" კვალიფიკაცია- ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ექიმი;

1991წ -1993წ–რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ენდოკრინოლოგიის

სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე სამუშაო ადგილზე სწავლება კლინიკური

ორდინატურის პროგრამით- კვალიფიკაცია ექიმი ენდოკრინოლოგი;

1987წ -1989წ– თურქმენეთის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი - კლინიკური

ორდინატურა " შინაგანი დაავადებები";

1981წ -1987წ– თურქმენეთის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი საექიმო საქმე,

დიპლომის №B – 1 – №335412

აკადემიური ხარისხი:

1. ენდოკრინოლოგია 14.00.03- მედიცინის აკადემიური დოქტორი.

დიპლომის რეკვიზიტები

სერია/ნომერი: KT №023672

გაცემის თარიღი: 1996წ.

დიპლომის გამცემი ორგანიზაცია: რუსეთის სამედიცინო აკადემიის ენდოკრინოლოგიის სამეცნიერო ცენტრი, ქ. მოსკოვი.

სადისერტაციო თემა: ულტრაბგერითი დოპლეროსონოგრაფიის მნიშვნელობა აუტოიმუნური თირეოიდიტის დიაგნოსტიკაში.

მიმართულება: ენდოკრინოლოგია.

სამუშაო გამოცდილება:

2013 წ. თებერვლიდან – შპს „უნიმედი აჭარა“, თერაპიული დეპარტამენტისა და ენდოკრინოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი.

2010 წ. – 2013 წ. – შპს "ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"-ს თერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2009 წ. – დან დღემდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯანდაცვის ფაკულტეტი თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

2010წ.–დან შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კლინიკური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2008წ - 2013 წ. სს"ჩემი ოჯახის კლინიკა"ექიმი- ენდოკრინოლოგი

2004წ-2010წ. შპს "ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური

საავადმყოფო”- ენდოკრინოლოგიური განყოფილების გამგე

2004წ 18 დეკემბერს -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი არჩეულ იქნა თერაპიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

1999წ. დღემდე საქართველოს დიაბეტთან ბავშვთა დაცვის ასოციაციის რეგიონალური წარმომადგენლობის ხელამძღვანელი

1996წ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჯანდაცვის ფაკულტეტი თერაპიის დეპარტამენტი უფროსი მასწავლებელი

1996წ - დღემდე შპს „ნაკაშიძე და კომპანია“ კლინიკა „პარაცელსი“, დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, ენდოკრინოლოგი, რადიოლოგი.

1996წ-2006წ. აჭარის სადიაგნოსტიკო და აღდგენითი მკურნალობის ცენტრი, ექიმი – ენდოკრინოლოგი.

06.1992წ-01.1996 წ. აჭარის ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტრო, საავადმყოფო– პროფილაქტიკური გაერთიანება, ექიმი – ენდოკრინოლოგი.

2006-2012 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები

1. “Prevalence of subclinical and clinical hypothyroidism in women above 50, living in district of moderate iodine deficiency, with previously unexamined thyroid function.”
European Thyroid Journal, Piza, September 8-12, 2012.

2. С. Глonti. „Ультраструктура рельефов и адениловая система эритроцитов у больных кистозным фиброзом.“
Медицинские новости Грузии, №4(193), Апрель, 2011.

3. ს. ლლონტი. „იმუნური ჰომეოსტაზი ქლამიდიური ეტიოლოგიის პნევმონიების დროს ბავშვებში.“
ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, №4, 2011.

4. ს. ლლონტი. „კლინიკურ-იმუნური პოლიმორფიზმი და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია სისტემური წითელი მგლურას დროს.“ „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“, № 1-2, 2010

5. ს. ლლონტი, ლ. ჯაში. „შაქრიანი დიაბეტის სკოლაში სწავლების გავლენა გლიკემიის კომპენსაციაზე შაქრიანი დიაბეტი ტიპი-1-ის მქონე ზრდასრულ პაციენტებში“ რსუ შრომები XII, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მედიცინა ბათუმი 2008წ.

6. ს. ლლონტი. „ნოვონორმი შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2–ის მკურნალობაში“, „დიაბეტი და ჯანმრთელობა“, თბილისი, საქართველო. 2008 წ.

7. ს. ლლონტი “იმუნური სისტემის მდგომარეობა ეუთირეიდული ჩიყვის დროს“, „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“, თბილისი, №1-2, გვ. 64-65, 2007 წ.

8. ს. ლლონტი. “ცვლილებები ელექტროკარდიოგრამაზე დიაბეტური კარდიომიოპათიის დროს“, „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“, თბილისი, №1-2, გვ.32-36, 2007 წ.

9. С. Глonti. “Оценка эффективности йодной профилактики во время беременности в регионе с умеренным йододефицитом“. Медицинский вестник «Эребуни». Научно-практический журнал. Ереван, 2006 г., №2 (26)

10. С. Глonti. “Структура и частота тиреоидной патологии по данным ультразвукового обследования и особенности функционирования щитовидной железы у беременных женщин, проживающих в регионе с умеренным йододефицитом“. Медицинский вестник «Эребуни». Научно-практический журнал. Ереван, 2006 г., №2 (26)

11. ს. ლლონტი, ლ. ჯაში. „შაქრიანი დიაბეტის სკოლაში სწავლების გავლენა გლიკემიის კომპენსაციაზე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 მქონე ზრდასრულ პაციენტებში.“ სამეცნიერო კონფერენცია „დიაბეტი და გული“, ქ. ბათუმი, 2006წ.

12. ს. ლლონტი, თ. რუხაძე . „შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 მქონე პაციენტის მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის შემთხვევის კლინიკური განხილვა“, სამეცნიერო კონფერენცია „დიაბეტი და გული“, ქ. ბათუმი, 2006წ.

13. С. Глonti. Динамика состояния йодного дефицита у детей Аджарской АР (Грузия) на фоне проведения йодной профилактики «Здоровье», Баку, 2006 г.

14. С. Глonti. „Анализ структурных изменений щитовидной железы по данным ультразвукового обследования у взрослого населения Аджарии“. Рентгеноლოგიის და რადიოლოგიის მაგნე“, აპრილი–სექტემბერი, 2–3(25), თბილისი, 2006წ.

15. S. Glonti, L.Jashi, G.Ceckhladze. Prevalence of minimal thyroid deficiency (sub. clinical hypothyreosis) and sub. clinical thyreotoxicosis among females of avetege and elderly ages who handit been examined before. March, 2006 year. Glassgo. Congress ECE

16. С. Глonti, Г. Н. Цецхладзе, М. В. Каджая, Л. Н. Джаши. “Мониторинг частоты зоба и распространённости йододефицитных состояний по данным ультразвукового исследования щитовидной железы и экстрекции йода с мочой“. Рентгеноლოგიის და რადიოლოგიის მაგნე“, იანვარი–თებერვალი, №1 (24), თბილისი, 2006წ.

17. С. Глонти, Г. Н. Цецхладзе. “Анализ сосудистого рисунка узлов щитовидной железы на основании данных цветной доплерографии”. *რენტგენოლოგიის და რადიოლოგიის მაცნე*, იანვარი–თებერვალი, №1 (24), თბილისი, 2006წ.

სამეცნიერო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა

1. Salzburg-weill cornell seminar in palliative care April 12-18, 2004 Salzburg, Austria
2. Salzburg-weill cornell seminar in internal medicine July 11-17, 2004 Salzburg, Austria
3. 7th European Congress of Endocrinology 3-7 September 2005 Goteborg, Sweden
4. The 41-st Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes 10-15 September 2005 Athens, Greece
5. Merck European Thyroid Symposium “The Thyroid and Autoimmunity” June 15-18, 2006, in Noordwijk, Netherlands;
5. The 42^d Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes 14-17 September 2008, Copenhagen Denmark.
6. “Prevention of Type 2 Diabetes The time of Challenge is Now”, has spent 12 hours in the educational activity and therefore she has the right to obtain 12 credits; 10-11 November 2006, Fortezza da Basso-Florence, Italy
7. “How to Manage Diabetes and Cardiovascular Diseases” 15-16 november 2007 Istanbul, Turkey,
8. The 44-th Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes 7-11 September 2008 Rome, Italy
9. “33rd Annual Meeting of the European Thyroid Association” 20-24 September 2008 Saloniki - Chalkidiki Greece
10. The International EASD Postgraduate Course on the Management of Diabetes and its Complications 23-25 April 2009 Ukraine.
11. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია. ოქტომბერი, 2010წ.
12. International congress “Hear, Vessel and Diabetes”, Lisboa, Portugess, 8-12 dec. 2010.
13. მედიკოსთა საიუბილეო XXX სკოლა – კონფერენცია. „დიაბეტონი MR60მგ. ყოველდღიურ პრაქტიკაში.“ მომხსენებელი. 23–30 ივლისი 2011, თბილისი – ჩაქვი.
14. The 35th Annual Meeting of European Thyroid Association, Krakov, Poland, 10-14 sep. 2011.
15. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის თანამედროვე პრინციპები. მომხსენებელი. „ინჰიბიტორები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2–ის მკურნალობაში.“ ბათუმი, 04 ნოემბერი 2011წ.
16. “სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა“, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია, 23 დეკემბერი, 2011წ., თბილისი, საქართველო.
17. IV EASD Postgraduate Education Course, 19-21 April 2012, Kiev, Ukraine.
18. The 36th Annual Meeting of European Thyroid Association, Piza, Italy, 8-10 Sep-2012.
19. MSD მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა: ADA/EASD განახლებული გაიდლაინი, სპიკერი. 25 ოქტომბერი 2012წ.
20. BERLIN-CHEMIE/MENARINI-ს მიერ ორგანიზებული კონფერენცია. „ვარისებრი ჯირკვლის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა ორსულობასა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში – ამერიკის თირეოდოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციები“, მომხსენებელი. 21 ნოემბერი 2012წ.
21. Europe, Canada, Middle East and Africa Speakers Forum. Munich, Germany, 1-3 თებერვალი 2013წ.
22. In the Ukrainian EASD Postgraduate Course, 18-20 April 2013, Lviv, Ukraine.
23. The 37th Annual Meeting of European Thyroid Association, Leiden, Netherland. 2013
24. The 49-th Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes, Barcelona, Spain. 2013
25. IDF Congress Australia, Melburn, 2013.

უცხო ენების ცოდნა

ქართული მშობლიური

რუსული სრულყოფილად.

ინგლისური კარგად.

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

Word, Excel – კარგად

Power point – კარგად

პროფესიული განვითარების კურსები/ტრენინგები

1. ICH GCP training, Investigator meeting BI 10773 phase III trial. Vienna, Austria, 2010.
2. ICH GCP training, Vienna, Austria. 2010.
3. “ICH GCP for Investigators”, Tbilisi, 2011.
4. ICH GCP training, Investigator meeting BI 10773 phase III trial, Vienna, Austria, 2012.
5. 26 ივნისი 2009 წ. საქართველოს სიმსუქნის შემსწავლელი ასოციაცია.

სემინარი "სიმსუქნისა და მეტაბოლური სინდრომის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები"

6. 2007 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. „ოსტეოპოროზის დიაგნოსტიკის, პრევენციის და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები.“ 15 უპე ქულა.
7. 2006წ. 13-15 ოქტომბერი. საქართველოს სიმსუქნის შემსწავლელი ასოციაცია, უსგ მოკლევადიანი კურსი. „სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები – ფართოდ გავრცელებული ენდოკრინული პათოლოგიები“. 15კრს.
8. 2006წ. 29-30 სექტემბერი, თბილისი. ევროპის თირეოდოლოგთა ასოციაციის უსგ საერთაშორისო სკოლა – სმინარი. „თირეოდოლოგია: ფაქტებზე დამყარებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. 10კრს.
9. 2006წ. 30-31 ივლისი. საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება, უსგ მოკლევადიანი კურსი "ლიპიდური ცვლის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა". 10 კრს
10. 2006წ.28-29 ივლისი. საქართველოს დიაბეტის და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირი, საქართველოს სიმსუქნის შემსწავლელი ასოციაცია. „შაქრიანი დიაბეტი – გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების რისკ ფაქტორი“. 10კრს.
11. 2006წ.20 მაისი ვ, ივერიელის სახელობის საქართველოს ენდოკრინოლოგთა ასოციაციის მეორე ყრილობა, ლექციების კურსი ენდოკრინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე; 5უპე ქულა
12. 2006 წ. დეკემბერი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი. 'ოდისა და მინერალების დეფიციტი – ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისა და ოსტეოპოროზის განვითარების რისკ – ფაქტორი.“
13. 2005წ.16-18დეკემბერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უსგ პროგრამა „თანამედროვე მოლეკულური მორფოლოგიური მეთოდები ავადმყოფობათა ადრეულ დიაგნოსტიკაში.“
14. 2005წ.9-10 ივლისი საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია უსგ დასწრებული პროგრამა "კვლევის რადიოლოგიური მეთოდები ქალის მცირე მენჯის დაავადებათა დიაგნოსტიკაში";
15. 2005 წ.,თბილისი , 15 ივლისი ,საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია უსგ დასწრებული პროგრამა " ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობანი ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში და ახალშობილებში" 25 კრს

სტაჟირება

1. Salzburg-weill cornell seminar in palliative care April 12-18, 2004 Salzburg, Austria
2. Salzburg-weill cornell seminar in internal medicine July 11-17, 2004 Salzburg, Austria
3. 7th European Congress of Endocrinology 3-7 September 2005 Goteborg, Sweden
4. The 41-st Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes 10-15 September 2005 Athens, Greece
5. Merck European Thyroid Symposium "The Thyroid and Autoimmunity" June15-18, 2006, in Noordwijk, Netherlands;
5. The 42^d Annual Meeting of the European Association for the Study of Diabetes 14-17 September 2008, Copenhagen Denmark

გრანტი: შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში გართულებების ადრეული გამოვლენა.

კლინიკური კვლევებში მონაწილეობა(მთავარი მკვლევარი):

1. კლინიკური კვლევა CASCAD "BI 10773 (10მგ და 25 მგ ორალურად მისაღები დღეში ერთხელ) III ფაზის მულტიცენტრული, საერთაშორისო, რანდომიზებული, პარალელური ჯგუფების მომცველი, ორმაგად ბრმა კარდიოვასკულარული უსაფრთხოების კვლევა, შედარებული სტანდარტულ მკურნალობასთან ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში მაღალი კარდიოვასკულური რისკით“.
2. კლინიკური კვლევა ELIXA „რანდომიზებული, ორმაგად ბრმა, პლაცებო-კონტროლირებული, პარალელური ჯგუფების მომცველი, მრავალცენტრიანი კვლევა, ლიქსისენატიდით მკურნალობის ფონზე კარდიოვასკულარული მოვლენების შესაფასებლად, ტიპი 2 დიაბეტის მქონე პაციენტებში მწვავე კორონარული სინდრომის გადატანის შემდეგ“.
3. კლინიკური კვლევა CAROLINA ლინაგლიპტინის III ფაზის მულტიცენტრული, ინტერნაციონალური, რანდომიზებული, პარალელურ ჯგუფური, ორმაგად ბრმა, კარდიოვასკულური უსაფრთხოების კვლევა, გლიმეპირიდთან შედარებით მაღალი კარდიოვასკულური რისკის მქონე ტიპი2 შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში“.

4. “HZC113782: კლინიკური შედეგების კვლევა საშუალო სიმძიმის ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) მქონე სუბიექტებში გადარჩენადობაზე ფლუტიკაზონის ფუროატის/ვილანტეროლის საინჰალაციო ფხვნილის 100/25 მკგ ეფექტის შესადარებლად პლაცებოსთან ანამნეზში გულისხმობარღვთა დაავადების გაზრდილი რისკის დროს”.
5. კვლევა:“ III ფაზის მულტიცენტრული, ორმაგად- ბრმა, რანდომიზებული MK-3102 დამატების სიტაგლიპტინის დამატებასთან შედარებით უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შეფასების კვლევა, მეთფორმინით მკურნალობის ფონზე არაადექვატური გლიკემიის კონტროლის მქონე ტიპი 2 დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში“.
6. „რანდომიზებული, ორმაგად -ბრმა, პლაცებოთი კონტროლირებადი , პარალელურ ჯგუფებში მიმდინარე კვლევა კარდიოვასკულარული შედეგები შესაფასებლად ერთუგლიფლოზინით (MK-8835/PF-04971729) მკურნალობის ფონზე ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის და დადგენილი სისხლძარღვთა დაავადების მქონე სუბიექტებში “
7. „ III ფაზის კვლევა T89-ის ანტისტენოკარდიული ეფექტის დასამტკიცებლად სტაბილური სტენოკარდიის მქონე პაციენტებში (CAESA კვლევა)“.

დამატებითი ინფორმაცია

2013წლიდან ჟურნალი „Диабет ,ожирение, метаболизм” უკრაინა, კიევი-სარედაქციო კოლეგიის წევრი
2012წ. ღირსების ორდენი

2010წლიდან ევროპის თირეოდოლოგიური ასოციაციის(ETA)წევრი

2008წ. აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

სიგელი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის

2005წ. დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ენდოკრინოლოგიის სპეციალობით;

2004 წლიდან ჟურნალი ” დიაბეტი და ჯანმრთელობა ” სარედაქციო კოლეგიის წევრი

2006 წლიდან საქართველოს სიმსუქნის შემსწავლელი ასოციაციისა და ევროპის სიმსუქნის ასოციაციის შემსწავლელი ასოციაციისწევრი.

2006 წლიდან შავი ზღვისპირა რეგიონების დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიურ დაავადებათა შემსწავლელი ასოციაციის თავმჯდომარე.

2005 წლიდან ამერიკის კლინიცისტ ენდოკრინოლოგთა ასოციაციის წევრი.

2005 წლიდან აჭარის ექიმთა რეგიონალური ასოციაციის თავმჯდომარე.

2001 წლიდან ევროპის დიაბეტის შემსწავლელი ასოციაციის(EASD) წევრი.

პედაგოგიური მოღვაწეობა

1996 წ-დან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი ჯანდაცვის ფაკულტეტი თერაპიის დეპარტამენტი უფროსი მასწავლებელი

2004წ -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩეულ იქნა თერაპიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე

2009 წ. - დან- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯანდაცვის

ფაკულტეტი თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

2010წ. – დან კლინიკური თერაპიის დეპარტამენტის უფროსი.